დიდება დიად ოქტომბერს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 ნოემბერი პარასკევი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 260 (14864)

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1970 წლის 8 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 4 ნოემბერი.



პლაკატი გ. მაისურაძისა.

ოქტომბრის იდეების მძლავრი ძალა

ბევრი ქვეყნის ხალხები მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად ზეიმით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავს.

დიდმა ოქტომბერმა დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა — სამყაროს რევოლუციური განახლების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კაცობრიობის გადასვლის ეპოქა. განვლილი პერიოდი აღინიშნა ძირეული ცვლილებებით ბევრი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში. სოციალიზმი, რომელმაც თავდაპირველად გაიმარჯვა ჩვენს ვრცელ სამშობლოში, ახლა მძლავრი მსოფლიო სისტემაა და სულ უფრო იქცევა მსოფლიო განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად. დიდი აღმავლობის გზაზეა მუშათა მოძრაობა კაპიტალის ქვეყნებში. ირყევა უკანასკნელი საფუძვლები კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემისა, რომელიც დაიმსხვრა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დარტყმების შედეგად.

ოქტომბრის დროშა საიმედოდ უპყრიათ ხელთ კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რომლებიც სათავეში უდგანან მშრომელთა ბრძოლას სამყაროს რევოლუციური გარდაქმნისთვის, მონოპოლიების ბატონობისა და იმპერიალისტური რეაქციის აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მიმართავს რა მსოფლიოს კომუნისტებს, თავის საოქტომბრო მოწოდებებში ძმურ სალამს უთვლის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მებრძოლ მარქსისტულ-ლენინურ ავანგარდს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მედგარ მებრძოლებს. დაე კვლავაც მტკიცდებოდეს მთელი მსოფლიოს კომუნისტების ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

საბჭოთა ადამიანები კანონიერი სიამაყის გრძნობით აჯამებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის თავდადებული ბრძოლის შედეგებს. მიმდინარე ხუთწლედის განმავლობაში ახალ მიჯნებს მიაღწიეს საბჭოთა ქვეყნის მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ, მეცნიერებამ და კულტურამ. შესანიშნავი წარმატებებით აღინიშნა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სოციალიზმის მოძმე ქვეყნების ხალხთა ცხოვრებაში კარგ ტრადიციად იქცა აღინიშნონ დიდი ოქტომბრის ყოველი წლისთავი ახალი გამარჯვებებით მშვიდობიან შენებლობაში, სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და ძლიერების განმტკიცებაში. საბჭოთა კავშირსა და სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარების მკაფიო მაგალითს წარმოადგენდა ამას წინათ ჩვენს ქვეყანაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შედეგები.

ოქტომბრის დღესასწაულის წინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ყველა საბჭოთა ადამიანი მხურვალედ, ძმურად მიესალმებიან სოციალისტური ქვეყნების ხალხებს. მსოფლიო სოციალისტური სისტემა საერთაშორისო მუშათა კლასის ისტორიული მონაპოვარია, გადამწყვეტი ძალაა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში. სოციალიზმის ძალების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცება შეესაბამება არა მარტო მოძმე ქვეყნების მშრომელთა, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხთა საარსებო ინტერესებს. საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მზარდი წარმატებანი, მათი თანმიმდევრული და მტკიცე ბრძოლა იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ, აღაფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს მშრომელებს მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ახალი ბრძოლების გასაჩაღებლად.

ამ დღეებში ყველა კონტინენტზე ბობოქრობს მშრომელთა გაფიცვების, მასობრივი დემონსტრაციებისა და მიტინგების მძლავრი ტალღა. მონოპოლიათა იდეოლოგები ამაოდ ცდილობენ მიჩქმალონ კაპიტალის სამყაროში მიმდინარე სოციალური კონფლიქტების სიმწვავე. თვით ცხოვრება აბათილებს ამ უიმედო ცდებს: განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მოწყობილ გაფიცვებში თითქმის ხუთჯერ მეტი მშრომელი მონაწილეობდა, ვიდრე ომამდელი ოცი წლის განმავლობაში.

საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი პირველი დეკრეტი იყო ლენინური „დეკრეტი ზავის შესახებ". საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, რომლებიც ლენინის ანდერძს ასრულებენ, საერთაშორისო ასპარეზზე ახორციელებენ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირების პოლიტიკას. „ჩვენ საერთაშორისო ასპარეზზე ვიცავთ ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და უშიშროების საქმეს", — ხაზგასმით აღნიშნა თავის სიტყვაში ბაქოში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა. ამ პოლიტიკამ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ღრმა პატივისცემა და ნდობა დაიმახსოვრა.

საბჭოთა სახელმწიფო და სხვა სოციალისტური ქვეყნები ძმურ მხარდაჭერას უწევენ ვიეტნამის გმირ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების ბინძური ომის წინააღმდეგ, აძლიერებენ სოლიდარობას არაბ ხალხებთან, რომლებიც უმკლავდებიან ისრაელ დამპყრობლებს.

ეს ძმური მხარდაჭერა და სოლიდარობა ფუშავს იმპერიალიზმის აგრესიულ მისწრაფებებს. ყველა ხალხს, რომლებიც თავიანთ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავენ, საბჭოთა კავშირი მიაჩნია საიმედო მეგობრად, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების ბურჯად.

იმ პირობებში, როცა აგრესიული იმპერიალისტური წრეები ცდილობენ კვლავ ააღორძინონ „ცივი ომის" ვითარება, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საყოველთაოდ აღიარებს მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა, საბჭოთა კავშირის მიერ სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელებულ ღონისძიებებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე ურთიერთობის განვითარებისათვის. ხალხებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი წინადადებებს უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მომზადებისა და მოწვევის შესახებ. ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისა და სრულიად ევროპის თანამშრომლობის განვითარების საქმეში დიდმნიშვნელოვანი წვლილი იყო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკება მოსკოვში. ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს შეესაბამება ამას წინათ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება.

მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იმპერიალისტ აგრესორთა ალაგმვისათვის, ძირეული სოციალური გარდაქმნებისათვის ბრძოლაში ემბეგიან ყველა კონტინენტის ხალხთა სულ უფრო ფართო მასები. ამ ბრძოლაში მათ აღაფრთოვანებენ დიდი ოქტომბრის იდეები, უკვდავი იდეები ვ. ი. ლენინისა, რომლის დაბადების 100 წლისთავი აღნიშნა მიმდინარე წელს მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ.

საბჭოთა ადამიანები ამ ხაზგასმით დღეებში აცხადებენ:

— გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ბედნიერების ბურჯს, მშვიდობისა და პროგრესის საიმედო დასაყრდენს!

„პრავდის" 5 ნოემბრის მოწინავე

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციას

მხურვალედ მივესალმები დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციას 25 წლისთავის იუბილეს გამო.

ფედერაციის ასაკი — ეს არის ასაკი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაბადებული ახალგაზრდობის დღევანდელი თაობისა. ამ ომში მსოფლიოს ხალხებმა გაანადგურეს გერმანიის ფაშიზმი და იაპონიის მილიტარიზმი, დაიწყეს ახალი ეტაპი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში, ამ მიზნებმა გაპირობა სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა პოლიტიკური და იდეური მრწამსის ახალგაზრდობა მებრძოლი, ფართო და დემოკრატიული საერთაშორისო ორგანიზაციის რიგებში.

დღეს, ისევე როგორც მეოთხედი საუკუნის წინათ, მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობა თავის მომავალს უკავშირებს ხალხებს, პროგრესისა და სოციალიზმის ძალების წარმატებებს მათს ისტორიულ ბრძოლაში იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებთან, რომლებიც ხელს უშლიან ისტორიის წინსვლას და საფრთხეს უქმნიან ახალგაზრდა თაობის ბედნიერ მომავალს.

დიდი ლენინი, რომლის დაბადების ასი წლისთავი ღირსეულად აღინიშნა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობის ფართო მასების მონაწილეობას სამყაროს რევოლუციურ გარდაქმნაში. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ანდერძის ერთგულ კომუნისტებს ახალგაზრდობა მიაჩნიათ საერთო-დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის აქტიურ მონაწილედ.

ექსპლოატაციისა და ჩაგვრის სამყაროში არსებული წესრიგის წინააღმდეგ ახალგაზრდობის გამოსვლების მძლავრი ზრდა წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელოვან ფაქტორს. იგი მოწმობს, რომ დრომოჭამული წყობილებას არა აქვს საიმედო დასაყრდენი ჩვენი პლანეტის მოზარდ თაობაში. და მაინც მარტოოდენ უკმაყოფილება და პროტესტი საკმარისი არ არის, რომ ნამდვილად გარდაქმნათ სამყარო პროგრესულ საწყისებზე. ახალგაზრდობას შეუძლია რეალურ წარმატებებს მიაღწიოს თავისი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში, თუ სწორად გაიგებს ისტორიული განვითარების მსვლელობას, განამტკიცებს თავისი დემოკრატიული მოძრაობის რიგების ერთიანობას, მუდამ იზრუნებს მუშათა მოძრაობასთან, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, მთელ რევოლუციურ და გარდამქმნელ ძალებთან ურთიერთობის გაძლიერებისათვის.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია თავისი უფლებებისათვის, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, სოციალური პროგრესისა და თავისუფლებისათვის პროგრესული ახალგაზრდობის ერთიანობისა და აქტიური ერთობლივი მოქმედების კონკრეტული განსახიერებაა. იგი გამოხატავს ახალგაზრდობის საარსებო ინტერესებს, მის ძირითად მისწრაფებებსა და იმედებს.

ფართო აღიარება ჰპოვა ფედერაციის საქმიანობამ ამერიკელი აგრესორებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ, გმირი ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის მხარდასაჭერად, მისმა სოლიდარობამ არაბული ქვეყნების ხალხებთან, რომლებიც იბრძვიან ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბარდაჭერას რომ ეყრდნობა. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია თანმიმდევრულად უჭერს მხარს ანგოლის, მოზამბიკის, გვინეის (ბისაუს) და სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდა პატრიოტებს, ფაშისტური, დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ მამაც მებრძოლებს. იგი მხარს უჭერს ყველა იმ ხალხს, რომლებიც თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას იცავენ. ფედერაცია მოუწოდებს ევროპის ახალგაზრდა თაობას აქტიურად იმოქმედოს ამ კონტინენტის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის მებრძოლი ძალების მხარდასაჭერად.

ფედერაცია კეთილშობილურ მისიას ასრულებს, ახალგაზრდობაში რომ განამტკიცებს ინტერნაციონალიზმის გრძნობას, თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალების დამცველი ყველა ხალხის ბრძოლაში ძმური მონაწილეობის გრძნობას.

ვულოცავ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციას სახელოვან იუბილეს, გამოვიქვამ რწმენას, რომ თავისი სახელოვანი ტრადიციების ერთგული ფედერაცია კვლავაც გაიყოლიებს ახალგაზრდობის ფართო მასებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის, ახალგაზრდობის უფლებებისათვის ბრძოლის გზით.

ვუსურვებ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციას შემდგომ წარმატებებს!

ლ. ბრეჟნევი.

გილოცავთ მაღალ ჯილდოს!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ



მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში დამსახურებისათვის და მეცნიერული კვლევის განვითარებაში მიღწევებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 5 ნოემბერი.

საშობაო ჩვენი...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ! — საბჭოთა სოციალისტური, მშრომელი და მებრძოლი, მოზეიმე რესპუბლიკა — თანასწორი თანასწორთა შორის, უდიდესი სიხარულით ეგებება ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲤᲔᲗᲐᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲤᲔᲗᲐᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐᲡ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲤᲔᲗᲐᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐᲡ!

ილეარიოგისა და ოსტატოგისათვის

სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

დრამატურგიულ ნაწარმოებთა მხატვრული ოსტატობის იდეურობის პრობლემებს, სცენასა და ეკრანზე საბჭოთა ხალხის ცხოვრების განსახიერებას მიეძღვნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელიც 3-4 ნოემბერს გაიმართა ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში.

პლენუმზე მოწვეული არიან ჩვენი ქვეყნის დრამატურგები, თეატრის, კინოს, ტელევიზიის მოღვაწენი.

პლენუმი გახსნა სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა კ. ა. ფედინმა, მოხსენება **„საბჭოთა ლიტერატურა თეატრისათვის, კინოსა და ტელევიზიისათვის და ადამიანის კომუნისტური აღზრდა“.** გააკეთა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ა. დ. სალინსკიმ.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომ **სსრ კავშირის მწერალთა მე-5 ყრილობა მოიწვიოს 1971 წლის ივლისში.** ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა **გ. ბ. მარკოვმა.**

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნებად აირჩიეს **გ. გ. აბაშიძე** და **ს. ს. ნაროვნიჩკოვი.**

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად ორგანიზაციულ-შემოქმედების საკითხებში დაამტკიცეს **ი. ნ. ვერჩენკო.**

ოქტომბრის შუქი

ქვეყრი პროლეტარული საღამოები

აი მსუფლიო კვლავ აღნიშნავს იმ მოვლენის წლისთავს, რომელმაც სრულიად შეცვალა სამყაროს ისტორია და გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მთელი კაცობრიობის ბედზე. პოლონელი ხალხი განსაკუთრებით აღნიშნავს მას, როგორც საკუთარ დღესასწაულს. ეს გასაგებიც არის, რადგან საერთო მტრის — ცარიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში იშვა პოლონეთისა და რუსეთის პროლეტართა საბრძოლო მეგობრობა. ათასობით ჩვენი რევოლუციონერი იბრძოდა დიდი ოქტომბრის მარიგადებზე, იარაღით ხელში იცავდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მონაპოვართ.

საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ჩვენი სამშობლოს დიდი მეგობარი იყო. სწორედ მისი ინიციატივით გაატარა საბჭოთა სახელმწიფომ ყველა ძველი ხელშეკრულებანი, რომლებიც პოლონეთს ეკუთვნოდა, და ამით კვლავ აღდგა პოლონელი ხალხის უფლებები — თვითონ განესაზღვრა საკუთარი გზა, რომელსაც დამოუკიდებლობისაკენ მივყავდით.

თავის მხრივ პოლონეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობა, ხელმძღვანელობდა რა ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, დიდი ენთუზიაზმით გამოდიოდა ოქტომბრის ძლევამოსილი რევოლუციის დასაცავად, უკუაგდებდა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, მხარს უჭერდა პოლონეთსა და სსრ კავშირს შორის თანამშრომლობას.

ჩვენი სამშობლოს ბედზე ოქტომბრის ცხოველმყოფელი გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას, როცა პოლონელი ხალხი საბჭოთა ძმებს მიემხრო, გმირ საბჭოთა არმიასთან ერთად ჩაება ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ისტორიამ დაამტკიცა იმ პროგრამის სისწორე, რომელიც პატერიელთა ოკუპაციის დროს პოლონეთის მუშათა პარტიამ დასახა. ამ პროგრამას მხარი დაუჭირა საბჭოთა ხალხმა და მას საფუძვლად დაედო დიდი ოქტომბრის იდეალები ფაშისტების განდევნაში, ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებაში საბჭოთა მეომრებთან ერთად მონაწილეობდნენ პოლონეთის არმიის ქვეგანაყოფები, აგრეთვე პარტიზანთა ძალები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდნენ. ამ კავშირის პირშუი იყო პოლონეთის სახელმწიფო, რომელიც აღდგა ისტორიულ საზღვრებში ოდერზე, ნოისესა და ბალტიკაზე. 1945 წლის აპრილში დიდი მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის.

— სსრ კავშირისა · და სახალხო პოლონეთის მეგობრობას, კავშირს უდიდეს სოციალისტურ სახელმწიფოსა და მსხვილ სახალხო-დემოკრატიულ ქვეყანას შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობის სტაბილიზაციისა და ხელშეუხებლობისათვის, — აღნიშნავდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა, — ჩვენი ორი სახელმწიფოს კავშირი, ყველა სოციალისტური ქვეყნის ერთიანობა დიდი დაბრკოლებაა, ამ მდგომარეობის შეცვლის მსურველთათვის.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საფუძველია ჩვენი პარტიების — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის იდეოლოგიური ერთიანობა, ერთნაირი მიზნები და ამოცანები. ჩვენი ურთიერთობა ემყარება ლენინურ პრინციპებს.

დიდი ოქტომბრის 53-ე წლისთავს აღვნიშნავთ მაშინ, როცა სახალხო პოლონეთის გაფურჩქვნის ოცდამეშვიდე წელი დაიწყო. ლენინური იდეები სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენ საუკუნოდ დავუკავშირეთ საკუთარი ბედი ოქტომბრის საქმეს. მივდივართ ახალი გზით, რომელიც არა მარტო ჩვენს სამშობლოს მოუტანს ძლიერებას, არამედ — სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმესაც მთელ მსოფლიოში.

ამ საერთო სადღესასწაულო დღეებში პოლონეთის მშრომელები მხურვალე სალამს უძღვნიან საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხს.

ეჟი სოლეცკი,
პოლონელი პუბლიცისტი.

კოლუმბიის მშრომელები ადიდებენ თავისუფლებას

კოლუმბიელი მშრომელები აქტიურად ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავისათვის, ამასთან დაკავშირებით კოლუმბიის კომუნისტური პარტიის გაზეთმა „ორგანისადორმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ ოქტომბრის გამარჯვებამ სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ გარდაქმნათა უდიდესი შესაძლებლობა მისცა საბჭოთა ხალხებს. საბჭოთა ხალხის მიღწევებს, მის ბრძოლას საყოველთაო მშვიდობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

გაზეთი ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის როლს განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში, წერს იმ მხარდაჭერაზე, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხებს მათს სამართლიან ბრძოლაში, აგრეთვე. უანგარო დახმარებაზე არაბული ქვეყნებისადმი.

საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები რომ არა, — ხაზს უსვამს გაზეთი, — ხალხთა ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის გაცილებით ძნელი იქნებოდა“.

ხოსე არისალა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირების პოლიტიკას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებიდან.

ისტორიის ახალი ფურცელი

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მან ისტორიის ახალი ეპოქა დაიწყო და თვითონვე მოახდინა გავლენა ამ ახალი ეპოქის განვითარებაზე. ამ რევოლუციამ დაგვანახვა მუშათა მასების ძალა, რომლებმაც თავიანთი პარტიის ხელმძღვანელობით შექმნეს სახელმწიფოს მმართველობის ახალი ფორმები, ახალი სოციალისტური ინსტიტუტები, რომელთა შედეგად სრულიად მოსპობილ იქნა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

ოქტომბრის რევოლუციის ექო მთელ მსოფლიოს მოედო. მან ძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მსოფლიოს ყველა კუთხეში. ხალხებმა ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა ეკონომიური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. კოლონიალიზმის ბასტიონებმა დაშლა იწყეს. თავისუფალი გახდა ინდოეთი და აზიის სხვა ქვეყნები, რევოლუციების ტალღა შეეხო აფრიკის ქვეყნებს, კოლონიზატორები განდევნილ იქნენ განიდან, კენიიდან, უგანდიდან, ტანზანიიდან და სხვა ქვეყნებიდან. სისხლიან ბრძოლაში მოიპოვა თავისუფლება გმირმა ალჟირელმა ხალხმა, განაგრძობენ თავისუფლებისათვის ბრძოლას სამხრეთ აფრიკის პატრიოტები.

1952 წელს აწ განსვენებული პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მეთაურობით განხორციელდა რევოლუცია ეგვიპტეში. ხალხის მასებმა დაამსხვრიეს კოლონიალიზმის ბორკილები, გაანადგურეს გახრწნილი სამეფო რეჟიმი, დაანგრიეს ძველი წესები. ჩვეულანა რესპუბლიკა გახდა.

გამარჯვებული რევოლუციონერები შეუდგნენ სოციალურ გარდაქმნათა განხორციელებას, რომლებმაც ხავსებით უცვალეს სახე ძველ ეგვიპტეს. ჩვენ მრავალი მეგობარი შევიძინეთ ახლოგარგარეთ, მჭიდრო კავშირი დამყარეთ ყველა იმ ქვეყანასთან და ხალხთან, რომლებიც იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ იბრძვიან.

ჩვენ ოტომანიტები ვართ. რევოლუცია გრძელდება, იმპერიალიზმი ყოველდღიურად ფაქიზ იხევს. და დღეს, დიდი ოქტომბრის 53-ე წლისთავის დღეს, მოგესალმებით სოციალისტურ რევოლუციას, რომელმაც ახალი ერა შექმნა კაცობრიობის ისტორიაში; მივესალმებით ჩვენს მეგობარ საბჭოთა ხალხს, რომელიც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ხათავეში უდგას მსოფლიოს პროგრესულ ძალებს.

იუზეფ ეს-სიბაი,
ეგვიპტელი მწერალი, აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

ს. ალიენდეს პრეს-კონფერენცია

სანტიაგო

სანტიაგო, 4 ნოემბერი. (საკდესი). „ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან მან უდიდესი გავლენა მოახდინა კაცობრიობის განვითარებაზე.

1917 წლის ოქტომბერში რევოლუციის გამარჯვება უწინარეს ყოვლისა ნიშნავს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის იდეების გამარჯვებას. და ოქტომბრის რევოლუციის ყოველ წლისთავზე ჩვენ, ჩილელები, ყოველთვის ვუსურვებთ დიდ საბჭოთა ხალხს უფრო დიდ პროგრესს, უფრო მეტ წარმატებებს და გვინდა, რომ ამ წარმატებებმა ხელი შეუწყონ მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას მთელ მსოფლიოში“, — განაცხადა დღეს უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჩილეს პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ.

შეეხო რა ქვეყნის საშინაო მდგომარეობას, პრეზიდენტმა განაცხადა: „ჩვენი პროგრამა ხალხის ერთიანობის პროგრამაა, რომელიც უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებს ჩილელი ხალხის კანონიერ უფლებათა დაკმაყოფილებას, რისთვისაც იგი მრავალი წლის მანძილზე იბრძოდა“.

რა თქმა უნდა, თქვა შემდეგ პრეზიდენტმა, ყოველივე ეს 24 საათში ვერ გადაწყდება. ჩვენ მოგველის ძნელი და დაძაბული მუშაობა.

საბჭოთა კავშირ-პაკისტანის თანამშრომლობა

რავალპინდი. 5 ნოემბერი. (საკდესი). **პაკისტანის მთავრობამ 4 ნოემბრის სხდომაზე, რომელიც გაიმართა პრეზიდენტ იაჰია ხანის თავმჯდომარეობით, მოიწონა ტექნიკურ-ეკონომიური მოხსენება ქალაქ უარაჩის მახლობლად წყლიწადში 1 მილიონ 100 ათასი ტონა ფოლადის სამშლავრის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესაძლებლობათა შესახებ.**

პაკისტანელები დიდი ხანია ოცნებობენ დიდი მეტალურგიული ქარხნის აშენებაზე, რამდენიმე წლის მანძილზე ისინი ამ თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებდნენ დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან, მაგრამ ამ მოლაპარაკებას რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. მიმდინარე წლის ზაფხულში, საბჭოთა კავშირში პრეზიდენტ იაჰია ხანის ვიზიტის დროს, მან სთხოვა საბჭოთა მთავრობას დახმარება გაეწია მეტალურგიული ქარხნის აშენებაში. საბჭოთა კავშირი დაეთანხმა პაკისტანის ამ თხოვნას.

პირველი ლონისძიება იყო საბჭოთა სპეციალისტების მიერ ტექნიკურ-ეკონომიური მოხსენების შედგენა. მეტალურგიული ქარხნების საბჭოთა საპროექტო ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებისა და ხუთი სხვა საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერებმა და ეკონომისტებმა ეს ამოცანა ოთხი თვის ვადაში შეასრულეს. პაკისტანის მხარემ მაღალი შეფასება მისცა მოხსენებას.

კაირო

საიდუმლო „ომი ნარკოტიკებით“

კაირო. 5 ნოემბერი. (საკდესის კორ.). **სუეცის არხის** სანაპიროზე ვარსკვლავიანი ღამის სიჩუმეს უეცრად არღვევს ავტომატების ხმა. ცას ანათებენ რაკეტები, რომლებიც შუქს ფენენ რამდენიმე პატარა ნავს, რომლებიც თითქმის ნაპირთან მიდიოდნენ. ყურიდან საპასუხო სროლა ისმის...

ამ შემთხვევაში საქმე ისრაელის მორიგ სამხედრო პროვოკაციას როდი ეხება. ნავებში მსხდომი ადამიანები ასრულებენ იმ საიდუმლო ომის ერთ-ერთ ოპერაციას, **რომელსაც** ისრაელი უკვე დიდი ხანია აწარმოებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამ ომში, რომელიც ითვალისწინებს არაბი მოსახლეობის დემორალიზაციას, იყენებენ სხვადასხვა საშუალებას. ერთ-ერთი მათგანია ნარკოტიკების კონტრაბანდად შეტანა და გავრცელება.

ბასულ წელს ფიქსირებულია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ნარკოტიკების კონტრაბანდად შეტანის შვიდი ათასზე მეტი შემთხვევა. როგორც კაიროს გაზეთი „ალ-აჰრამი“ წერდა, კონფისკაცია უკავეს 7,7 ტონა ჰაშიშს, 3,6 ტონა ინდური სელის თესლს, 1,4 ტონა ოპიუმს, 233 კილოგრამ სხვა ნარკოტიკებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ვ. ი. ლენინის ძეგლი ბერლინის ახალ მოედანზე, **რომელიც საერთაშორისო** პროლეტარიატის ბელადის სახელს ატარებს.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ფაქტები

ეროვნული ნიშნით

● ბუდაპეშტი. 4 ნოემბერი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მერვე ასამბლეამ. იგი მიმდინარეობდა ლოზუნგით „მსოფლიოს ახალგაზრდობის ანტიიმპერიალისტური ერთიანობისათვის“.

მეგობრული დახმარება

● ბაღდადი. 4 ნოემბერი. (საკდესი). აქ ერაყის ეროვნულმა ნავთობის კომპანიამ და საბჭოთა საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „ტექნოექსპორტმა“ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის შესაბამისად საბჭოთა მხარე ხელს შეუწყობს ერაყს მენავთობე სპეციალისტთა მოსამზადებელი სასწავლო ცენტრის შექმნაში და მიაწოდებს მთელ საჭირო მოწყობილობას ამ ცენტრის მუშაობისათვის.

საბჭოთა მსახიობები ბელგიაში

● ბრიუსელი. 5 ნოემბერი (საკდესი). „სსრ კავშირი — წარსულისა და აწმყოს ცივილიზაციები“. ბრიუსელის ქუჩებში გაკრულია ასეთი ფერადოვანი აფიშები, რომლებიც იუწყებიან, რომ ბელგიაში იწყება საბჭოთა მსახიობების გასტროლები. გასტროლები მოეწყო ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ინიციატივით.

მსახიობთა შორის არიან ცნობილი საბჭოთა მოცეკვავეები და მომღერლები, ქართველი და უზბეკი მოცეკვავე ქალები. უკრაინელი ბანდურისტები, აკრობატთა დასი.

ადგილობრივი პრესა გულთბილად ეხმაურება საბჭოეთის მრავალეროვნული ხელოვნების წარმომადგენლთა კონცერტებს.

გაიხსნა თათბირი

● კაირო. 4 ნოემბერი. (საკდესი). აქ გაიხსნა სამი არაბული სახელმწიფოს — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ლიბიის არაბთა რესპუბლიკისა და სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაურთა თათბირი. თათბირში მონაწილეობენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ანვარ სადათი, ლიბიის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე მუამარ კადაფი და სუდანის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ჯაფარ ნემეირი.

თემთა პალატაში

● ლონდონი. 5 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისის თემთა პალატაში დაიწყო ორი დღის კამათი მთავრობის იმ საფინანსო ღონისძიებათა საკითხზე, რომლებიც ითვალისწინებენ სახელმწიფო ხარჯების შემცირებას ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის და ამავე დროს საშემოსავლო გადასახადის დაკლებას მოსახლეობის ყველაზე უზრუნველყოფილ ფენების სასარგებლოდ.

ჯ. ნიერერე კვლავ პრეზიდენტია

● დარ-ეს-სალამი. 5 ნოემბერი. (საკდესი). ჯულიუს ნიერერე კვლავ აირჩიეს ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტად. მის კანდიდატურას ხმა მისცა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 95 პროცენტმა.

ბრანდტის განცხადება

● ბონი. 4 ნოემბერი. (საკდესი). დღეს კასელში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ვ. ბრანდტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მთავრობა, რომელშიც სოციალ-დემოკრატები და თავისუფალი დემოკრატები შედიან, „ქმედუნარიანია“ და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მართოს ქვეყანა ბუნდესტაგის მორიგ 1973 წლის არჩევნებამდე.

დაპატიმრეს მკვლელობის მონაწილე

● ლიმა. 5 ნოემბერი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ პერუში დაპატიმრეს ჩილელი მოქალაქე ხულიო ფონტანილიო როხასი, რომელსაც ბრალდება, რომ მონაწილეობას იღებდა ჩილეს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ რენე შნაიდერის მოკვლაში. დაპატიმრებულს უახლოეს დროში გადასცემენ ჩილეს ხელისუფლებს.

ფაქტები

ოქტომბერი

ოქტომბერი და ერის ბედი

ოქტომბერში მრავალი ეპოქალური მნიშვნელობის საკითხთა შორის გადაწყდა ეროვნული საკითხიც.

ეროვნული საკითხი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ურთულესი საკითხია, ძველი, მაგრამ ამავე დროს მუდამ ახალი სოციალური საკითხია. ისტორიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ყალიბდებიან ეროვნული კოლექტივები. ამ კოლექტივებს შორის მყარდება გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება, წარმოიშობიან ეროვნული მოძრაობანი. ეროვნული მოძრაობა წარმოშობს ეროვნულ საკითხს.

ეროვნული საკითხი მოიცავს არა მარტო ეკონომიური, პოლიტიკური ცხოვრების სფეროს, ის გრძნობათა, განცდათა, ემოციების სამყაროშიც პოულობს გამოვლინებას. ადამიანი მუდამ ფიქრობდა სამშობლოზე, მის წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე, მის ბედზე, მის ხვედრზე. ჯერ კიდევ ძველი რომაელი იტყოდა ხოლმე, სამშობლოს გადარჩენა — უპირველესი კანონიაო.

ვერც ფეოდალური სამყაროს გაბატონებულმა კლასებმა, ვერც ბურჟუაზიამ ვერ შეძლო ეროვნული საკითხის მოგვარება. შეიძლება მეტიც ითქვას. კაცობრიობის ისტორია ხალხთა, ერთა ბრძოლის ისტორია იყო, ეს იყო ამ ხალხების, ამ ერების გაბატონებული კლასების ინტერესთა შეჯახების გამოვლინება.

ბავშვსწონო ოქტომბრამდელი სამყარო, თვალი გადავაკაკლოთ იმდროინდელი მსოფლიოს რუკას. ევროპიის ტრამალებზე გადაჭიმულიყო რუსეთის მრავალეროვანი იმპერია, რომელსაც დიდმა ლენინმა „ხალხთა საპყრობილე“ უწოდა. ევროპაში მოჩანდა ავსტრია-უნგრეთის იმპერია, სადაც ეროვნული ჩაგვრა პოლიტიკური ცხოვრების ყოველდღიურობას წარმოადგენდა. იქვე იყო ბრიტანეთის პატარა კუნძულები, მეტროპოლია, რომელიც ობობასავით მოსდებოდა ასეულ მილიონობით ადამიანთ დასახლებულ ქვეყნებს, სწოვდა მათ სისხლს, ეკონომიურად, მორალურად, ინტელექტუალურად აჩაგვიდა ხალხებს. ასეთივე ვითარება იყო საფრანგეთის იმპერიაში. ჰოჰენცოლერნების გერმანია კი ახალი კოლონიური იმპერიის შექმნაზე ოცნებობდა, ინგლისს, საფრანგეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ეწვიდა.

ოკეანეებს იქით მდებარე შეერთებული შტატები ამერიკის მთელი კონტინენტის მითვისებას ლამობდნენ და მსოფლიოში „ამერიკის სამყაროს“ დაფუძნების გეგმებს ამუშავებდნენ. არც იაპონია ჩამორჩებოდა სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, მთელი მსოფლიო თუ არა, აზია მაინც თავის ფეოდალ სურდა გამოეცხადებინა. ჯერ კიდევ ბოგინოდა ოტომანთა იმპერია. ჩვენც ნახირ-ნახირაო, და პატარა ბელგია და არც თუ დიდი ჰოლანდია უზარმაზარ ტერიტორიებს ფლობდნენ აფრიკასა და აზიაში და უზომოდ ყელეფდნენ მათ.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კაცობრიობაზე ჩამოწოლილ შავ ღრუბელს ვერაფერი ვერ გაფანტავდა. ლამენტებული ხალხები და ერები გმინავდნენ. არსაიდან ხმა, არსით ძახილი... ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის არ წყდებოდა, მას ბოლო არ უჩანდა.

აი ამოვარდა ოქტომბრის ქარიშხალი. უღელვრესმა გრიგალმა, ჭიანქუხილმა მოწმინდა ცის კამარა. გოლიათის ხელის ერთი დარტყმით ოქტომბერმა დაამსხვრია „ხალხთა საპყრობილე“. ისტორიის წყვდიადს ჩაბარდა ავსტრია-უნგრეთის იმპერია. ოქტომბრის აფეთქებით გამოწვეული ჯაჭვური რეაქცია შეუნელებლად მოქმედებდა. მეორე მსოფლიო ომში ჩვენი სახელმწიფოს, საბჭოთა სოციალური წყობის, სოციალისტური იდეების გამარჯვების შედეგად ჩვენს თვალწინ დაიმსხვრა საუკუნეების მანძილზე შექმნილი კოლონიალიზმის რთული ეკონომიური, პოლიტიკური, იდეოლოგიური სისტემა.

სადღაა დიდი ბრიტანეთის იმპერია? ამჟერად იაპონია თავისი კუნძულებით ემყოფილდება.

მსოფლიოს რუკაზე გაჩნდნენ უზარმაზარი დამოუკიდებელი სახელმწიფოები. მათს წიაღში მეტად რთული პროცესები მიმდინარეობს. ერთი-ორი ათწლეული საკმარისი არ ყოფილა ახალ სახელმწიფოში საჭირო ეკონომიური, პოლიტიკური, იდეოლოგიური სტაბილობის მოსაპოვებლად. ახალი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრივი ყოფიერება ახალ კოლიზიებს ქმნის. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ეს სირთულენი, კოლონიალიზმი ისტორიას ჩაბარდა და მას ვერაფერი დააბრუნებს. უაზრო ეკსტრემიზმმა და უგუნურებამ შეიძლება ამა თუ იმ ქვეყნის განვითარება შეაფერხოს, ძველ გითარებას კი ვერ აღადგენს.

ვერც შედარებით ახალგაზრდა და არც თუ სუსტ ამერიკულ იმპერიალიზმს ძალუძს ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება. შეერთებული შტატების ბინძური ომი იწდო-ჩინეთში, ისრაელის აგრესია ახლო აღმოსავლეთში განწირული ავანტიურაა. ოქტომბრისშემდგომ ეპოქაში ხალხთა, ერთა დამონება ფუჭი, განუხორციელებელი ზრახვებია.

ოქტომბერმა საღამთას ძილისაგან გამოაღვიძა მილიონობით ადამიანი. ხალხები ერებად ყალიბდებიან. იმიჯნება ახალ ეროვნულ სახელმწიფოთა საზღვრები. ეს პროცესიც უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობს. ხან აშკარად, ხან კი ფარულად მოქმედებენ წარსულის ნაშთები. ბრძოლებში მტკაცდება ეროვნული შეგნება, იბადება ეროვნული სიამაყის გრძნობა. ყოფილ ჩაგრულ ხალხებს შორის მტკიცდება სოლიდარობის გრძნობა.

ოქტომბერი

ოქტომბერი და ერის ბედი

ნიუ-იორკი

გ ე ო ბ ე ნ ა ქ ბ რ ე ს ო რ ს

ნიუ-იორკი. 5 ნოემბერი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამთავრა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხის განხილვა და ხმების უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომლის პროექტი წარმოადგინა აფრიკა-აზიისა და მიუმხრობელი ქვეყნების დიდმა ჯგუფმა.**

მიღებული რეზოლუცია კვლავ ადასტურებს, რომ შეუწყნარებელია ტერიტორიათა შეძენა ძალის გამოყენებით. ამრიგად, ხაზგასმულია რეზოლუციაში, არაბული ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიები ისრაელმა უნდა დაუბრუნოს ამ ქვეყნებს.

საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობა

ეგვიპტელ ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, ეროვნულ-დემოკრატიულ ინტელიგენციას, ეროვნულ-დემოკრატიულ ინტელიგენციას, ეროვნულ-დემოკრატიულ ინტელიგენციას

საქართველოს ამბავი — ჯარში

მუდამ მზვიდობა და ხალისი ჰქონდეს ჩვენს ახალგაზრდობას.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

სულ გინათეგდეს გზას ოქტომბერი

შენს გმირულ დღეებს
ლექსად ავკინძავ,
დასაფიცარო აწ
და მარადღამს,
მე ამამღერა
შენმა ასპინძამ,
შენმა კრწანისმა,
შენმა მარაბდამ.

ჩემი ოცნება
შენ ხარ, ფრთალაღი,
გულში ხალისის,
ლხენის მომფენი,
განახლებული
ჩვენი ქალაქი,
აყვავებული
ჩვენი სოფელი.

ჩვენს ბაღჩა-ბაღებს,
უანებს, ვენახებს
ეალერსება
მზე ოქროსფერი,
მუდამ ბარაქით
სავსე მენახე,
სულ გინათებდეს
გზას ოქტომბერი!

ხ. დიასამიძე.
ქ. თბილისი.

შენ გენაცვალე, სამშობლოვ!

მე ვენაცვალე შენს
დროშებს,
ალისფერად რომ ანთია,
რომ გვილამაზებს
სიცოცხლეს —
დიდი ლენინის პარტია.

გულიც დიდი გაქვს,
მკლავიცა,
ფიქრები — მთების ოდენი,
მიტომ ელვარებს შენს
მკერდზე
ორი ლენინის ორდენი.

დ. ხახიაშვილი.
ქ. ონი.

საზეიმო სუფრაზე

საოქტომბრო დღესასწაულისათვის ემზადებიან კვების მრეწველობის საწარმოები, მშრომელთა სადღესასწაულო სუფრას ხვავსა და ბარაქას უმზადებენ.

საქპურსაკონდიტრო ტრესტის საჩვენებელი სახლის „ვარაზის“ გამყიდველებმა ე. ჯავრიშვილმა (მარცხნივ) და ნ. პაპაუაშვილმა ტორტების ახალი პარტია მიიღეს და სადღესასწაულო ვაჭრობისათვის ამზადებენ (სურათზე ზემოთ).

თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნიდან ყოველდღიურად ათასობით ბოთლი შამპანური იგზავნება საჯარო დაწესებულებებში. ამ პროდუქციას ახლა განსაკუთრებულ კონტროლს უწევენ. სურათზე ქვემოთ — ქარხნის ტექნიკური კონტროლიორი რ. გვალაძე ამოწმებს გასაგზავნ პროდუქციას.

ფოტო ს. კილაძისა.



დეკემბა ატლანტის ოკეანიდან

ექვზღვაურთა ეიღლოცვა

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ რედაქციაში არა ერთი მოსალოცი დეპეშა მოდის როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან, ისე მის საზღვრებს გარედანაც. ყველგან, სადაც უნდა იყოს საბჭოთა ადამიანი, მას სურს თავისი სიხარულის ხმა მიაწვდინოს მშობლიურ კუთხეს.

ერთი ასეთი მისასალმებელი დეპეშა მივიღეთ ატლანტის ოკეანიდან. დეპეშას ხელს აწერს საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ტრაულერ „ოქტომბრის“ კაპიტან-დირექტორი **იოსელიანი** და კაპიტნის თანაშემწე **ჯინჭველაძე.**

აი რას წერენ ისინი:

ვიმყოფებით რა სამშობლოდან ათასობით კილომეტრით დაშორებულნი, ატლანტის გაშლილ ოკეანეში, მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან თარიღს, რევოლუციისა, რომლის სახელსაც ამაყად ატარებს ჩვენი ტრაულერის ეკიპაჟი. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით გიგზავნით ჩვენს მეზღვაურულ სალამს, სულით და გულით ვუსურვებთ შშობლიურ ხალხს ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას, წარმატებას შრომითს საქმიანობასა და შემოქმედებით მუშაობაში.

ტრაულერ „ოქტომბრის“ კოლექტივი დგას სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტაზე და ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს. „ოქტომბრის“ კოლექტივი არ დაიშურებს ენერგიასა და ცოდნას, რომ ღირსეული შრომითი მაჩვენებლებით შეხვდეს ღირსშესანიშნავ თარიღებს.

ქართული ხილი — სადღესასწაულოდ

ტყიბული. (ხაკ. კორ.). ბარაქიანი შემოდგომა დაუდგათ აქაურ მეხილეებს. ბაღებში ყოველდღე ბევრი ავტომანქანა იტვირთება და გეზს ორპირის დამამზადებელი პავილიონისაკენ იღებს. „საქხილბოსტნის“ ტყიბულის კანტორამ უკვე დაამზადა 1.971 ტონა კურკოვანი ხილი.

სეზონში ხილის დიდი პარტია— 18 ვაგონი ვაშლი, მსხალი და ტყემალი გაიგზავნა მოსკოვში, ლენინგრადში, გორკში, ფრუნზესა და სარატოვში. ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მშრომელებისათვის ხილის კიდევ ახალი პარტია გაიგზავნება.

მუსიკალური სკოლა ქარხანაში

ზესტაფონი. (ხაკ. კორ.). ვ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე აშენდა № 2 მუსიკალური სკოლის ახალი შენობა. მას აქვს 14 საკლასო ოთახი, კაბინეტები, საკონცერტო დარბაზი და სხვ. სკოლა უზრუნველყოფილია მუსიკალური ინსტრუმენტებით.

ქართული ბილიარდი

ბაკურიანი. (ბაკ. კორ.). ბაკურიანში ბილიარდის ბანაკი ჩატარდა. ბანაკში ეროვნული ნაკრების ოსტატები ვ. ბოლოტნიკოვი, ა. ბოლოტნიკოვი, ბ. ბოლოტნიკოვი, ბ. ბოლოტნიკოვი, ბ